ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა



ირაკლი მენაღარიშვილი

2015 #4

სერია: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა

ქართული პოლიტიკა
სამეცნიერო ჟურნალი

ძვირფასო მეგობრებო,

კარგი მმართველობა - ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში, სახელმწიფო, რეგიონულ, უწყებრივ, თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია, დადგენილი წესით, გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს: პარლამენტის სხდომებზე; სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე; სამეცნიერო კონფერენციებზე; სემინარებზე და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

მთავარი ამოცანაა: ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან, ამან, შეიძლება სერიოზულად დააზრალოს, როგორც სახელმწიფო, ისე, საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა სათანამშრომლოდ და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია, საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით, უსასყიდლოდ, პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. ის, აგრეთვე, განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.politlibrary.ge.

ამჯერად, რედაქცია, ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს ირაკლი მენაღარიშვილის ნაშრომს "პოლიტიკური ისლამი და მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოში".

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲦᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲚᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲥᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში გაჩნდა მოლოდინი დემოკრატიული პრინციპებისა და თანასწორუფლებიანობის საყოველთაო აღიარების შესახებ, რომელიც თანაბრად შეეხებოდა ყველა ეროვნებასა თუ აღმსარებლობას. თუმცა, მოლოდინმა ერთმნიშვნელოვნად არ გაამართლა და ერთიან სოციალურ და სამოქალაქო სივრცეში საქართველოს მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაცია ვერ მოხერხდა, რასაც მოწმობს ბოლო წლებში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულებები მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და ქართველ თუ არაქართველ მუსლიმებს შორის.

სწორედ ამ უაღრესად აქტუალურ და საყურადღებო პრობლემასთან დაკავშირებით მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის სამეცნიერო სტატიას - ,,პოლიტიკური ისლამი და მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოში". ავტორი სწორად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ,,ეთნიკურად

და რელიგიურად განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხმა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ რეალობაში შესაფერისი ადგილი ჯერ ვერ დაიკავა და არც სერიოზული კვლევა ჩატარებულა, რომელიც შეაფასებდა საქართველოში ისლამის პოლიტიკურ ასპექტებს, რაც აუცილებელია სწორი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად''.

ზემოაღნიშნული საკითხის კვლევისას ავტორი სიღრმისეულად და კომპლექსურად შეეხო საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზს და კვლევის შედეგად რამდენიმე პრობლემა გამოკვეთა. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიჩნეულია საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან და განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან და რეგიონებთან. ასევე, სამართლიანად მიუთითებს ავტორი მუსლიმთა რელიგიური განათლების პრობლემებზეც.

საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ რადგან საქართველოში მუსლიმთა უმაღლესი რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობა ნაკლებია, საქართველოს მუსლიმი მოქალაქეები რელიგიური განათლების მისაღებად ირჩევენ ქვეყანას რელიგიური მიმდინარეობის გათვალისწინებით. ამ მიზეზითვე არსებობს აჭარის მოსახლეობის მჭიდრო კავშირი თურქეთთან, პანკისელი მუსლიმების - არაბულ ქვეყნებთან, ქვემო ქართლის მუსლიმების - ირანთან. ისლამი რელიგიასთან ერთად ცხოვრების წესიცაა, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს. ამიტომაც, ავტორს სამართლიანად აქვს შიშის საფუძველი, რომის ახალგაზრდები, რომლებიც სხვა ქვეყნებში იღებენ რელიგიურ განათლებას, სათუოა ჩადგნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურში. მითუმეტეს თუ თურქული სახელმწიფო ავალდებულებს არაბულ ქვეყნებში უმაღლეს სასულიერო განათლება

მიღებულ პირებს ერთი ან ორი წლით გადამზადება გაიარონ თურქულ სასულიერო სასწავლებლებში, რათა მოხდეს მათი ადაპტირება თურქულ სახელმწიფოს სპეციფიკასთან.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემა ქვეყნის სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის, უდავოდ, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია და მისივე დასკვნებიდან ჩანს, რომ საუკუნეების მანძილზე ერთობლივი თანაცხოვრება და ქართველებისთვის დამახასიათებელი ტოლერანტი ბუნება იძლევა იმედს სწორი პოლიტიკის გატარებით მომავალში პრობლემა გადაწყდეს დადებითი კუთხით.

ცალსახად უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ საქართველოსათვის, რომლის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას მიეკუთვნება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ამგვარი უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ამ ჯგუფებში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე სისტემატურ დაკვირვებას უნდა დაეფუძნოს.

ასევე, სწორია ავტორისეული მიდგომა, რომ აუცილებელია რელიგიურ სივრცეში არსებულ ურთიერთობათა სრული დეპოლიტიზაცია და სახელმწიფოს რეალური სეკულარიზაცია. რეალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი რელიგიური თანასწორობის პრინციპი.

ყურადღებას იმსახურებს ავტორის ნააზრევი, რომ განხილულ უნდა იქნეს საქართველოს მუსლიმთათვის ქვეყნის შიგნით რელიგიური უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. აუცილებელია ხსენებულმა საგანამანათლებლო სისტემამ კონკურენცია გაუწიოს ქვეყნის გარეთ არსებულ სასწავლებლებს, არა პოლიტიკურად და

მათთან დაპირისპირების მიზნით, არამედ ხარისხიანი განათლების მიღების პოტენციალით.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი თავისი შინაარსით და, რაც მთავარია კვლევის შედეგებით, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ღირებულება და გასათვალისწინებელია სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომი დააინტერესებს და დახმარებას გაუწევს, როგორც დარგის სპეციალისტებს, ასევე ამ პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სოფო მიდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, ამა თუ იმ ეთნიკური თუ კონფესიური გასხვავებულობის მქონე ადამიანთა ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების, ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფის კარდინალურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოსათვის ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა საქართველოს ერთიან სოციალურ და სამოქალაქო სივრცეში საქართველოს მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაციაა.

ამ საკითხის ირგვლივ არსებული რეალობის შესწავლას მიეძღვნა სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის მიერ გასულ წელს ჩატარებული კვლევა საქართველოში ისლამის პოლიტიკური ასპექტებისა. სწორედ ამ პუბლიკაციის საფუძველზე მომზადდა ეს სტატიაც, რომელშიც ზემოდაღნიშნული სამუშაოს შედეგად ჩამოყალიბებულ ზოგიერთ მოსაზრებასა და დასკვნას თავაზობს მკითხველს.

როგორია საკითხის არსებული მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მებრძოლი ათეიზმის ეპოქის დასრულებას მოყვა რელიგიის მიმართ ინტერესის გაღვივება. რელიგიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სოციალურ ურთიერთობებში. რელიგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა თავიდან თითქმის ვერცერთმა ფორმალურად სეკულარულმა სახელმწიფომ ვერ აიცილა. ეს ვერც საქართველომ შეძლო.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისლამური თემის შემთხვევაში. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისლამის სრული დეპოლიტიზაცია უბრალოდ შეუძლებელია. ისლამი (საღვთო წერილით "ყურანი") თავად იძლევა მუსლიმური საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური მოწყობის ფორმებს. "ყურანში" ასევე მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს ეკონომიკური ურთიერთობების ნორმებს, რაც მას სხვა რელიგიებისაგან განასხვავებს.

ისლამური რელიგიის ზემოხსენებული ხასიათის გამო აუცილებელი ხდება იმ დინამიკაზე დაკვირვება, რომელიც შეიმჩნევა დღეისათვის საქართველოს მუსლიმთა შორის.

მიუხედავად ამისა ზემოდაღნიშნულმა საკითხმა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ რეალობაში სათანადო ადგილი ჯერ ვერ დაიკავა.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ასევე არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც შეაფასებდა საქართველოში ისლამის პოლიტიკურ ასპექტებს, რაც აუცილებელია სწორი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად.

# # #

მუსლიმთა საერთო რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10% შეადგენს და იგი ძირითადად შემდეგი თემების სახით არის წარმოდგენილი:

1) ქვემო ქართლის მუსლიმები, რომლებიც ეთნიკურად აზერბაიჯანელები და დიდწილად შიიტური ისლამის მიმდევრები არიან, მათი შედარებით მცირე ნაწილი ცხოვრობს შიდა ქართლის და კახეთის ცალკეულ სოფლებში;
2) ეთნიკურად ქართველი, ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები აჭარაში;
3) პანკისის ხეობის მუსლიმები, რომლებიც ვაინახური წარმოშობის ქისტები არიან. მათი ნაწილი, ძირითადად უფროსი თაობა, მისდევს ისლამის ტრადიციულად დამკვიდრებულ გაგებას, ხოლო მეორე ნაწილი ე.წ. სალაფიზმის აღმსარებელია;
4) სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა, თუ განსხვავებული ისლამური აღმსარებლობების მიმდევარი მუსლიმები ასევე სახლობენ კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სხვა რეგიონების ცალკეულ სოფლებში.

მათგან აღსანიშნავია, დაღესტნური წარმოშობის ავარელები ყვარლის რაიონში, მაჰმადიანი მესხები სამხრეთ საქართველოში და ასევე საკმაოდ მცირერიცხოვანი ირანული წარმოშობის ეთნიკური ლაიჯეების ჯგუფი, რომელიც ძირითადად სოფელ გომბორში სახლობს. კვლევა არ ეხებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე მუსლიმთა პრობლემატიკას და ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ ქართველ მუსლიმებს.

საქართველოს მოქალაქეთა მუსლიმურ თემის პრობლემატიკას არაერთი რთული და მგრძნობიარე წახნაგი აქვს. მათი უმრავლესობა წლების მანძილზე იგნორირებული გახლდათ. დღეს კი ყველა მათგანი ქართული სახელმწიფოს საზრუნავია. წინამდებარე სტატიაში ამ გრძელი ნუსხის ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან საკითხს - ისლამურ სამყაროსთან საქართველოს მუსლიმების ურთიერთობასა და ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთ თემას - ისლამური განათლების თემას შევეხებით.

საქართველოს მუსლიმების ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან

ისლამის პოლიტიკური ასპექტების ანალიზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია რელიგიური კავშირების შესაძლო გამოყენება მეზობელი ქვეყნის მიერ. ამიტომ საქართველოს მუსლიმებთან მიმართებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, მათი ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან და განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან და რეგიონებთან.

საქართველოს მუსლიმთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი არ არის, ხოლო ეთნიკურად ქართველი მუსლიმების დიდი ნაწილიც, საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობს. ბუნებრივია, მათ აქვთ მოთხოვნილება მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ მათი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მატარებელ ხალხებთან საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამას თან ერთვის ამგვარი ურთიერთობის სრულიად

პრაგმატული საჭიროებაც, რაც გამოწვეულია საქართველოში წლების განმავლობაში შექმნილი რთული სოციალური მდგომარეობით, პირველ რიგში დასაქმებასთან და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემებით.

თავის მხრივ მუსლიმური სახელმწიფოებიც იჩენენ ინტერესს საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მიმართ. აშკარად ჩანს თურქეთის სურვილი, ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს ერთმორწმუნე მოქალაქეებთან. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა, მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამის აღმსარებელია. ამავდროულად, ექსპერტთა საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებისათვის თურქეთის ხელისუფლების ხელშეწყობის შესახებ, რაც ღიად დეკლარირებული არ არის.

როგორც აჭარელი მუსლიმები აღნიშნავენ თურქეთში არსებობს სახელმწიფო პროგრამები, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის განათლების მიღების შესაძლებლობის მინიჭებისათვის, როგორც სასულიერო, ისე საერო მიმართულებით. ხსენებული პროგრამების შესაბამისად, სხვა ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა უსასყიდლოდ მიიღონ უმაღლესი განათლება და ასევე სწავლების პერიოდში საყოფაცხოვრებო პირობები გაიუმჯობესონ.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, საქართველოს მუსლიმთა ნაწილი, განსაკუთრებით აჭარის მუსლიმები, როგორც სასულიერო, ისე საერო განათლებას თურქეთში იღებს.

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ თურქეთის მუსლიმები რეალურად ეხმარებიან აჭარელ ერთმორწმუნეებს. თავად ადგილობრივ მუსლიმთა თქმით, დახმარება განისაზღვრება შემოწირულობებით მეჩეთებისადმი და ატარებს კერძო ხასიათს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მუსლიმური თემის სოციალურ ცხოვრებაში მეჩეთის ადგილსა და მნიშვნელობას, სავარაუდოა, რომ ეს მხოლოდ საკულტო დაწესებულებისადმი დახმარება როდია.

საინტერესოა, რომ თურქული მხარის წარმომადგენლები აქტიურად ეხმარებიან არა მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ მუსლიმებს. თურქული ისლამური საზოგადოება ურთიერთობას ინარჩუნებს აჭარიდან წამოსულ ეკომიგრანტებთან ნინოწმინდისა და წალკის რაიონში. მათ ურთიერთობა აქვთ შიდა ქართლის სუნიტური მიმდინარეობის მუსლიმებთან. რამდენიმე წლის წინ წითელ ხიდთან აშენდა ახალი, დიდი სუნიტური მეჩეთი. თურქეთში როგორც სასულიერო, ისე საერო განათლების მისაღებად მიდიან ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებიც.

აქვე უნდა შევეხოთ აზერბაიჯანის საკითხს. ექსპერტები თვლიან, რომ არსებობს საარჩევნო პროცესებში აზერბაიჯანის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების ჩარევის პრაქტიკა. ხსენებული პრაქტიკა, როგორც წესი, შეთანხმებული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან და შესაძლოა ამ უკანასკნელის თხოვნითაც ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი ფაქტორი შიდა ქართლის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილებაა, ამ პრაქტიკის განხორციელებაში რელიგიური ლიდერებიც იყვნენ ჩართულნი.

საქართველოს მუსლიმებთან ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბული სამყარო. მათი აქტიურობის არეალი ამ ეტაპზე ძირითადად პანკისის ხეობაა. არაბეთიდან ხდება ხეობაში ე.წ. ვაჰაბიზმის იდეოლოგიის გავრცელება. ისინი ხეობის მცხოვრებთ მატერიალურადაც ეხმარებიან.

პანკისის ხეობაში ასევე ინარჩუნებენ ურთიერთობას ისტორიულ სამშობლოსთან, ჩრდილო კავკასიასთან, თუმცა ამ ეტაპზე ეს ურთიერთობები ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათისაა.

პანკისის ხეობაში დღესდღეობით მწვავე პრობლემა არ ჩანს. ის შინაგანი დაძაბულობა, რომელიც პანკისის მოსახლეობაშია და უკავშირდება ჩრდილო კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს, ჯერ

არ არის გადამწყვეტი და კრიტიკული. რაც მთავარია, არ შეიმჩნევა პრობლემები მეზობელ ქართველ ეთნოსთან ურთიერთობაში. თუმცა ეს არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. ყველა მონაცემით, ჩრდილო კავკასიაში სიტუაცია კიდევ დიდხანს იქნება არასტაბილური. ნათელია, რომ ყველა რყევა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლება მოხდეს, მყისიერად აისახება საქართველოს ამ ნაწილზე და, შესაბამისად, საქართველოზე მთლიანად. ყველაფერი ამის გამო პოლიტიკურად მნიშვნელოვანია როგორ დალაგდება ხეობის შიგნით მოსახლეობის რელიგიური პრიორიტეტები. ეს საკითხი შესწავლასა და მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სახელმწიფოების მოწყობის წესი, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის ოფიციალურად აღიარებული სეკულარობისა, მათ პოლიტიკაზე ისლამის გავლენაც საგრძნობია. ისლამი ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ყოფაში მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს.

შესაბამისად, ზემოთხსენებული ურთიერთობები საქართველოში მიმდინარე პროცესებზე გარკვეული ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ასევე, ირანის სახელმწიფოს ურთიერთობების გარკვევა საქართველოს მუსლიმებთან. თურქეთისაგან განსხვავებით, ირანი კლერიკალური სახელმწიფოა და ისლამი მის იდეოლოგიას წარმოადგენს. შესაბამისად მისთვის შესაძლოა ობიექტურად იყოს სახელმწიფო ინტერესი სხვა ქვეყნის მუსლიმებთან ურთიერთობა. თუ თურქეთის ისლამური საზოგადოებისათვის ინტერესს საქართველოში სუნიზმის მიმდევრები წარმოადგენენ, ირანი მეტად შიიტებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებით არის დაინტერესებული. შესაბამისად ირანის ყურადღების ობიექტი ქვემო ქართლის მუსლიმები არიან.

ირანში საქართველოს მოქალაქეები დიდწილად სასულიერო განათლების მისაღებად მიემგზავრებიან.

ირანის სახელმწიფო ასევე დაინტერესებულია მეჩეთების რეაბილიტაციით და მშენებლობით. უკანასკნელ ხანს

განხორციელდა მარნეულში ირანის დახმარებით ერთ-ერთი დიდი მეჩეთის რეაბილიტაცია. გარდაბნის რაიონში (კესალოში) გახსნილია ისლამის შემსწავლელი სკოლა - მედრესე. იქ ძირითადად აზერბაიჯანელი ბავშვები სწავლობენ. ამ სკოლას აიათოლა სისთანი აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში ქართულშიც ამეცადინებენ ბავშვებს. შიიტურ იერარქიაში პიროვნებას რაიმე წონა რომ ჰქონდეს, მისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანია.

მოღვაწეობის მასშტაბების მიხედვით, საქართველოში ირანულ ორგანიზაციებს უფრო მეტად ირანის სახელმწიფოს და სპარსული კულტურის პოპულარიზაცია აქვთ მიზნად, თუმცა ისლამის პროპაგანდასაც ეწევიან.

ცნობილია, რომ ირანში არსებობს ქართული რადიო, რომელიც ხარვეზებით მაუწყებლობს. აქვს საკუთარი ვებ გვერდი და მისი მაუწყებლობის აუდიტორია საქართველოს მოქალაქეები არიან.

საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს "ისლამური კულტურისა და კავშირურთიერთობის ორგანიზაცია". ამ ორგანიზაციას მთელ მსოფლიოში აქვს ირანის კულტურის კერები. მისი მიზანია სპარსული ენისა და ლიტერატურის პროპაგანდა უცხოეთში. თბილისში ისინი ხელს უწყობენ სპარსულის სწავლებას სკოლებში, ფულს უხდიან მასწავლებლებს, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოვლინებული ჰყავთ ირანელი სპეციალისტები, სპარსული ენის ფილოლოგები. მიჰყავთ ბავშვები ექსკურსიაზე ირანში, აფინანსებენ წიგნების გამოცემას, აქვთ უფასო სპარსული ენის კურსები.

მუსლიმთა რელიგიური განათლების საკითხი

საერო განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მუსლიმების მდგომარეობა საქართველოს მოსახლეობის სხვა წარმომადგენელთაგან დიდად არ განსხვავდება. აქ პრობლემები თითქმის იდენტურია.

უმაღლესი სასულიერო განათლების მიღება კი საქართველოს მუსლიმებს ქვეყნის შიგნით არ შეუძლიათ შესაბამისი სასწავლებლისა, ან რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი სასწავლო პროგრამების არარსებობის გამო. საქართველოში მუსლიმთა რელიგიური განათლება შემოიფარგლება მოქმედ მეჩეთებთან არსებული მედრესეებით, რომელიც გარკვეულწილად ასრულებს სამრევლო სკოლის ფუნქციას. მედრესეებს ქვეყნის კანონმდებლობით ოფიციალური სტატუსი არა აქვთ და მათ მიერ გაცემულ საბუთებს როგორც განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს რეალურად ვერსად გამოიყენებენ, ხოლო უმაღლესი განათლების მისაღებად მათ ქვეყნის გარეთ გასვლა უწევთ.

ამ შემთხვევაში ქვეყნის არჩევა ხდება ისევ და ისევ რელიგიური მიმდინარეობის გათვალისწინებით. აჭარის მოსახლეობა სასულიერო განათლებას იღებს თურქეთში.

პანკისელი მუსლიმები, ძირითადად, არაბულ ქვეყნებში, ხოლო შიდა ქართლის მუსლიმები, რელიგიური განათლებისათვის ირანში მიემგზავრებიან. თუმცა შიდა ქართლში არის ასევე სუნიტური თემიც, შედარებით მცირე, რომლის წარმომადგენლებიც ასევე თურქეთში იღებენ განათლებას.

საქართველოს საელჩოს მონაცემებით ამჟამად ყუმში (ირანის ისლამური რესპუბლიკა) სასწავლებლად საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი 20 მოქალაქეა. უკანასკნელ პერიოდში, ირანში, რეგულარულად ჩვენი ქვეყნის 15-20 მოქალაქე იღებს უმაღლეს განათლებას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები იქ საკუთარი ოჯახებით ცხოვრობენ. მათ ეძლევა ამის შესაძლებლობა. უმრავლესობა ბრუნდება საქართველოში და აგრძელებს მოღვაწეობას მეჩეთებსა და მედრესეებში.

აღსანიშნავია, რომ სასულიერო განათლება მიღებული პირები, როგორც წესი, ბრუნდებიან საქართველოში და იწყებენ მოღვაწეობას ადგილობრივ მეჩეთებში. იმის გათვალისწინებით, რომ მათ აქვთ მიღებული კარგი უმაღლესი რელიგიური განათლება, ისინი ადვილად ხდებიან ავტორიტეტულნი ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც კარგად ვერ ერკვევა ისლამის საფუძვლებში. შესაბამისად, როგორც ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ისლამის სრული დეპოლიტიზაცია შეუძლებელია და ისინი ორიენტირებულნი არიან ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიურ მიმდინარეობაზე (სუნიზმი, შიიზმი, ვაჰაბიზმი და სხვ.), ეს საკითხი აუცილებლობით მოითხოვს გადაწყვეტას.

აქ გვსურს მოვიყვანოთ თვალსაჩინო მაგალითი – თურქეთის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც თურქული სახელმწიფო ავალდებულებს არაბულ ქვეყნებში უმაღლეს სასულიერო განათლება მიღებულ პირებს ერთი ან ორი წლით გადამზადება გაიარონ თურქულ სასულიერო სასწავლებლებში, რათა მოხდეს მათი ადაპტირება საკუთარი

სახელმწიფოს სპეციფიკასთან. ხსენებული მაგალითი ცხადყოფს, რომ თურქეთი, ისევე როგორც არაბული სამყარო და ბუნებრივია ირანიც, ისლამს საკუთარ სახელმწიფოებრივ პრიზმაში ხედავს.

ცხადია, საქართველოში მსგავსი რამ ვერ და არ ხდება, ამიტომაც ძნელი სათქმელია, ის ახალგაზრდები, რომლებიც სხვა ქვეყნებში იღებენ რელიგიურ განათლებას, რამდენად შეძლებენ ჩადგნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურში.

თურქეთის რელიგიურ სკოლებში სასწავლებლად აჭარელ სტუდენტთა პირველი ნაკადი 1993 წელს გავიდა. ეს სტუდენტები, სამშობლოში 1999 წელს დაბრუნდნენ. ეს ახალგაზრდები რეგიონის მოქმედ მეჩეთებში გადანაწილდნენ.

აჭარაში კვლევის დროს უკვე 18 ახალგაზრდას ჰქონდა მიღებული უმაღლესი თეოლოგიური განათლება ანკარის, სტამბოლის, სამსუნის და თურქეთის სხვა უნივერსიტეტებში. მათი რიცხვი უახლოეს ხანებში რამდენიმე ათეული იქნება. ხსენებული უნივერსიტეტები, ძირითადად, საერო სასწავლებლებია, თუმცა აქვთ კარგად ჩამოყალიბებული თეოლოგიის კათედრები. როგორც აღვნიშნეთ, თურქეთში თეოლოგიურ განათლება მიღებული ახალგაზრდები უკლებლივ ბრუნდებიან საქართველოში. მათი უმეტესობა მოღვაწეობს აჭარის მეჩეთებში.

არაბულ ქვეყნებში ამჟამადაც სწავლობს პანკისის ხეობიდან რამდენიმე ახალგაზრდა. ახალგაზრდების წაყვანა პანკისიდან უმაღლესი განათლების მისაღებად დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო. მათი დიდი ნაწილი ხეობაში დაბრუნდა და იქ აგრძელებს რელიგიურ მოღვაწეობას.

აღსანიშნავია, რომ აჭარელი მუსლიმები გამუდმებით ხაზს უსვამენ საქართველოში მუსლიმთა უმაღლესი რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ამ საკითხის დაკვირვებით განხილვისას გამოიკვეთა პრობლემებიც, რომელთა ნაწილი უთუოდ გასათვალისწინებელია. მაგალითად, სახელდება სათანადო კადრების არარსებობა. გარდა ამისა, ამ ეტაპზე რთულია საქართველოში სწავლის მსურველთა რეალური რაოდენობის განსაზღვრა. სირთულეს წარმოადგენს სხვადასხვა ისლამური მიმდინარეობებისათვის ერთ დაწესებულებაში განათლების მიღების ორგანიზება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თავად მუსლიმთა შორის მცირეა იმ სპეციალისტების მიმართ ნდობა, რომლებმაც შესაძლოა ისლამური თეოლოგია და აღმოსავლური ენები კარგად იციან, თუმცა თავად მუსლიმები არ არიან. მეტიც, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მუსლიმები გარკვეულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდიან, რომ ყურანის დღემდე არსებული ორი სრული თაგრმანიდან ორივე ქრისტიანი ქართველის გაკეთებულია და ცდილობენ, თავიანთი სჯულის წიგნი მუსლიმი ქართველის თარგმნილიც ჰქონდეთ.

დასკვნა

- ✓ საქართველოსათვის, რომლის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას მიეკუთვნება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ამგვარი უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ამ ჯგუფებში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე სისტემატურ დაკვირვებას უნდა დაეფუძნოს.
- ✓ აუცილებელია რელიგიურ სივრცეში არსებულ ურთიერთობათა სრული დეპოლიტიზაცია და სახელმწიფოს რეალური სეკულარიზაცია. რეალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი რელიგიური თანასწორობის პრინციპი.
- ✓ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და ანალიტიკური სამსახურების მუშაობას.
- ✓ განხილულ უნდა იქნას საქართველოს მუსლიმთათვის ქვეყნის შიგნით რელიგიური უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. აუცილებელია ხსენებულმა საგანამანათლებლო სისტემამ კონკურენცია გაუწიოს ქვეყნის გარეთ არსებულ სასწავლებლებს, არა პოლიტიკურად, არამედ ხარისხიანი განათლების მიღების პოტენციალით.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი მენაღარაშვილი

დაიბადა 1951 წლის 18 მაისს ქ. თბილისში.

განათლება:

1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი სამკურნალო საქმის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1971 წლის 1 ოქტომბრიდან 1973 წლის 1 ოქტომბრამდე იყო თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის, სამკურნალო ფაკულტეტის ალკკ კომიტეტის მდივანი.

1973 წლის 1 ოქტომბრიდან 1975 წლის 1 ნოემბრამდე იყო თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის მდივანი.

1975 წლიდან 1 ნოემბრიდან 1978 წლის 1 თებერვლამდე იყო საქ. ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი.

1978 წლის 1 თებერვლიდან 1980 წლის 1 აპრილამდე იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

1980 წლის 1 აპრილიდან 1982 წლის 1 მაისამდე იყო ქ. თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი.

1982 წლის 1 იანვრიდან 1986 წლის 1 იანვრამდე იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

1986 წლის 1 იანვრიდან 1991 წლის 1 იანვრამდე იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი.

1991 წლის 1 იანვრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე იყო სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი.

1992 წლის 1 მაისიდან 1992 წლის 1 ნოემბრამდე იყო საქართველოს სახ. საბჭოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინატორი.

1992 წლის 1 ნოემბრიდან 1993 წლის 1 სექტემბრამდე იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი.

1993 წლის 1 სექტემბრიდან 1995 წლის 1 დეკემბრამდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

1995 წლის 15 დეკემბრიდან 2003 წლის 29 ნოემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

2003 წლიდან დღემდე არის სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი

აქვს მინიჭებული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი



ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოჩის ოჯოს, ვახტანგ ბოჩიასლის ჰირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, ბენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო ჰოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის ნარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობვილნებით, მან, აქვე დაისვა დისერტაციის მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა, ჯერ, ახალგაზრდული ჰორბლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და ჰორბნოზირების სამეცნიერო ცენტრები. მისი პატრონობით, საზელმწიფო - მართველობით საქმიანობაში ჰირველად დანერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი“, რომელმაც, მთლიანად შეცვალა ქვეყნის ჰრბიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული ჰრაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორერების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გაშენდა „ახალგაზრდული ქალაქი“ დაფუძნდა ახალგაზრდა ჰოლიტიკოსთა თანამედროვე საასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ჯელტრული ინფრასტრუქტურა, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ ჰოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორერებაში განაოგრესილა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა „მზიურის“ მშენებლობას, ხოლო, მობვილნებით, ერთსთვალ მოზარდებს „აჩქარ“ უნიკალური საბავშო ჰარინგზა, რომლის გაშენება, მისი ტოტალური დევნის ჰირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე“ და „ერევანში“, ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „ჯერბი მართველობის“ მესანიმნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვრო შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი. მისი მონაგონობრივი სწორერება, ღირსეულად შეაფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც განაცხადა, რომ მან - „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ერთელეს ჭირში, ისწორერა ისე - თითქოს მთელ ტვირთს ღებულობდა საკუთარ თავზე“.